სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 აპრილი, 2024 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/32

ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N360111, 27.03.2024 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 03 აპრილის სხდომის N07-02/04 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ში სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/23 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართის (წესი):

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის ,,ი'' ქვეპუნქტი:

,,ი) სტუდენტმა, რომელიც არის ობოლი დედით ან მამით.''

ბ) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა-ი“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი (შეღავათის მინიჭებისათვის საჭირო) დოკუმენტაცია შეიძლება იყოს:

ა) უფლებამოსილი უწყების (წინამდებარე წესის დამტკიცების დროისათვის - სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის) მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან - მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი ან მათი შვილი;

ბ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მარტოხელა მშობლის სტატუსი;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი (სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000 –ზე);

დ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ყოფნის ფაქტი და პერიოდი;

ე) მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილით) ოჯახის წევრი სტუდენტისა და მისი და-ძმების პირადობისა და დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის მინიჭების შესახებ;

ზ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, ეკომიგრანტის (სტიქიით დაზარალებული) სტატუსის მინიჭების შესახებ.

თ) სტუდენტმა, რომლის მეუღლე/და/ძმა ასევე არის ბსუ-ს სტუდენტი - და/ძმის დაბადების მოწმობის/ქორწინების მოწმობის ასლები.

ი) სტუდენტის დაბადების მოწმობა და დედის ან მამის გარდაცვალების მოწმობა.”.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს სწავლის საფასურის გადახდის წესის კოდიფიცირებული ვერსია და წარადგინოს ბსუ-ს იურიდიულ ცნობარში და სტუდენტთა გზამკვლევში განთავსებისათვის.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე კოდიფიცირებული წესი გამოქვეყნდეს ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
4. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**